



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ალადაშვილი დავით იოსების ძე



დ. ალადაშვილი

ალადაშვილი დავით იოსების ძე (დ. 13. I. 1949, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1990). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1971). მუშაობდა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) იოფეს სახ. ფიზიკა-ტექ. ინ-ტში (1972-75), ვარშავის სახელმწ. უნ-ტში და პოლონეთის მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში (სამეცნ. სტაჟირება; 1973-75), თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტზე ნახევარგამტართა ფიზ. სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიაში და მყარი სხეულების ფიზ. კათედრაზე სხვადასხვა თანამდებობაზე (1975-2006), აგრეთვე პოლონეთის მეცნ. აკად. მაღალი წნევების ფიზ. ინ-ტში (1976), ჩიკაგოს (აშშ) უნ-ტში (მინვეული პროფესორი, 1989), საერთაშ. საგანმან. პროგრამების კოორდინატორად საქართველოში (1994-2006).

ა-ის ძირითადი სამეცნ. ნაშრომები ეხება ნახევარგამტარების თვისებებზე ძლიერი ელექტრული ველის, იზოტროპული და ანიზოტროპული დეფორმაციების გავლენის შესწავლას ნახტომისებური და მინარევული გამტარებლობის არეებში. მან (თანამშრომლებთან ერთად) აღმოაჩინა ახ. მოვლენა – უარყოფითი დიფერენციალური წინაღობა ნახტომისებური გამტარებლობის არეში, აჩვენა, რომ დაბალსიხშირული დენის ძალის ოსცილაციები დაკავშირებულია კრისტალში ახ. ტიპის დომენების (რ-ეზონანს ნახტომისებური დომენები ეწოდება) წარმოქმნასა და მოძრაობასთან. შექმნა ამ მოვლენის აღმწერი ფიზ. მოდელი. პირველმა ჩაატარა ექსპერიმენტები ნახევარგამტართა თვისებებზე მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის გავლენის გამოსაკვლევად დაბალი (თხევადი ჰელიუმის) ტემპერატურის პირობებში.

ა. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, არაერთი საერთაშ. კონფერენციისა და ფორუმის მიწვეული მომხსენებელი, მრავალი საერთაშ. სამეცნ. გრანტისა და პროექტის ხელმძღვანელი, საერთაშ. სკოლა-სემინარისა და კონფერენციის ორგანიზატორი. წლების განმავლობაში იყო თსუ-ის დიდი სამეცნ. საბჭოს წევრი, თსუ-ის, სტუ-ისა და პედ. უნ-ტის სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოების წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998 და 2002).

*თბზ.*: Negativ differential resistance in the hopping conductivity region in silicon (თანაავტ. Adamia Z. A. at al.), JETP Lett., v. 47, 8, 1988; Travelling electrical domains in the hopping conductivity region (თანაავტ. Adamia Z. A., Tzakadze E. I. at al.), Solid State Communication v.101, 3, 1997; High field hopping and “hopping domains” (თანაავტ. Adamia Z. A.), Phil. Magazine B, v. 81, 9, 2001; Nonohmic hopping conduction in weakly compensated semiconductors. Best of Soviet Semiconductor Physics and Technology, 1989-1990, (თანაავტ. Adamia Z. A. at al.), World Scientific, 1995.

---